RESOLVING ETHNOPOLITICAL CONFLICTS - AN IMPORTANT CONDITION FOR REGIONAL INTEGRATION OF THE SOUTH CAUCASUS

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარება - სამხრეთ კავკასიის რეგიონული ინტეგრაციის მნიშვნელოვანი წინაპირობა

GIORGI CHAVLEISHVILI

International Relations, PhD researcher
Georgian Technical University
#77, Kostava str. Tbilisi, Georgia
chavleishvili.giorgi24@gtu.ge
https://orcid.org/0009-0008-9344-858X

EDISHER JAPHARIDZE

Political Science, Ph.D.
Professor of Georgian Technical University
#77, Kostava str. Tbilisi, Georgia
japaridzeedisheri07@gtu.ge
http://orcid.org/0000-0002-9239-4785

Abstract

The article analyzes the issue of ethnopolitical conflicts in the South Caucasus, the resolution of which is an essential issue of regional integration. In the past foreign policy orientation was based on the religious beliefs among the people. The South Caucasus regional security has been endangered by conflicts that have emerged there since the 1990s. The article aims to research an international practice for conflict prevention and to highlight the importance of political culture and society in the process of conflict resolution. Along with the "Trump route for international peace and prosperity", the political and economic influence of the United States of America is manifested in the South Caucasus, which is essentially changing the region`s position. In recent years, the resolution of the Nagorno-Karabakh conflict has greatly increased the prospects for regional integration of the South Caucasus. The goal of regional integration is to strengthen the political and economic ties between the three states in the region as well. In addition to balancing the interests of the key players in the region, the South Caucasus countries are interested in creating a financial and economic hub. Major states in the modern world create a political field at the memorandum level, which aims to implement specific actions by regional countries. In the Eurasian space, regional actors are in the interests of: strengthening communication channels within Eurasia, conducting confidence-building measures, resolving ethnopolitical conflicts, and opening transport highways.

Key words: Regional integration; South Caucasus; ethnopolitical conflict; regional security.

გიორგი ჩავლეიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობები დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ.თბილისი, კოსტავას ქ. #77
chavleishvili.giorgi24@gtu.ge
https://orcid.org/0009-0008-9344-858X

ედიშერ ჯაფარიძე

პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ.თბილისი, კოსტავას ქ. #77
japaridzeedisheri07@gtu.ge
http://orcid.org/0000-0002-9239-4785

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია სამხრეთ კავკასიაში არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, რომელთა გადაწყვეტა წარმოადგენს რეგიონული ინტეგრაციის არსებით საკითხს. ისტორიულად რეგიონში კონფესია განსაზღვრავდა ხალხების საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საფუძველს. 1990იანი წლების შემდეგ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში წარმოიშვა კონფლიქტები, რომლებმაც საფრთხე შეუქმნა სამხრეთ კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოებას. სტატია მიზნად ისახავს კონფლიქტების პრევენციისთვის საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას და კონფლიქტების მოგვარების პროცესში პოლიტიკური კულტურის და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამოკვეთას. „ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის“ სახით, სამხრეთ კავკასიაში ვლინდება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენა, რაც არსებითად ცვლის სამხრეთ კავკასიის სურათს. უკანასკნელ წლებში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება მნიშვნელოვნად ზრდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ინტეგრაციის პერსპექტივებს. სამხრეთ კავკასიის ინტეგრაცია მიზნად ისახავს პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით რეგიონის სამი სახელმწიფოს მჭიდრო დაახლოებას. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტერესებშია: ფინანსურ-ეკონომიკური ჰაბის ჩამოყალიბება და მსხვილი აქტორების ინტერესების დაბალანსება რეგიონში. თანამედროვე მსოფლიოში წამყვანი სახელმწიფოები მემორანდუმის დონეზე ქმნიან პოლიტიკურ ველს, რაც მიზნად ისახავს რეგიონული ქვეყნების მიერ კონკრეტული ქმედებების განხორციელებას. ევრაზიის სივრცეში რეგიონული აქტორების ინტერესებშია: ევრაზიის შიგნით საკომონიკაციო არხების გაძლიერება, ნდობის აღდგენის ღონისიებების წარმოება, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გადაწყვეტა და სატრანსპორტო მაგისტრალების გახსნა.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული ინტეგრაცია; სამხრეთ კავკასია; ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი; რეგიონის უსაფრთხოება.

შესავალი

1990-იანი წლების შემდეგ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში წარმოიშვა კონფლიქტები, რომლებმაც საფრთხე შეუქმნა რეგიონულ უსაფრთხოებას, კერძოდ მთიანი ყარაბაღში, სოხუმსა და ცხინვალში კონფლიქტური ვითარების გაჩენამ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები სულ უფრო დააშორა ევროპულ სივრცეს. გასული საუკუნის ბოლოს სამხრეთ კავკასიაში დაწყებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები გამწვავდა პოლიტიკური და იდენტობასთან დაკავშირებული ფაქტორების ხანგრძლივი დაგროვების შედეგად, რომლებიც კრიტიკულ ისტორიულ მომენტში გაერთიანდა. გასული საუკუნის 90იანი წლებიდან სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული სამი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტიდან, ორი კონფლიქტი შედგა საქართველოში. 1989 წლიდან დაწყებულმა საბჭოთა ეროვნულ-ტერიტორიულმა დელიმიტაციამ, საზღვრების ეთნიკურ დასახლებებთან შესაბამისობაში მოყვანის ნაცვლად, შექმნა ავტონომიური რეგიონები (მთიანი ყარაბაღი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) რამაც საფუძველი ჩაუყარა ეთნიკურ ნიადაგზე მომავალი კონფლიქტების გაჩენას (Markedonov S. Pavlova A., (2024) Three Dimensions of the South Caucasian Conflicts: Dynamics, Commonalities and Differences, Politics and Religion Journal 18, no. 2: 269-289). სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეთნორელიგიური ფონის შეცვლა წარმოშობს მნიშვნელოვან გამოწვევებს კავკასიის მიმართ, ეთნიკური სურათის ცვლილება განაპირობებს სახელმწიფოებრივობის, ცნობიერების და კულტურის რღვევას.

კვლევის მეთოდები და თემის აქტუალობა

კვლევის დროს ვიყენებთ საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული შემდეგი კვლევის მეთოდებს: 1) ისტორიულ-აღწერილობითი, ისტორიული ანალიზის საფუძველზე შევისწავლეთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები; 2) მონაცემთა ლოგიკური ანალიზი და შედარება, ამ მეთოდებით თანმიმდევრულად განვიხილეთ სამხრეთ კავკასიაში მოცემული რეალობა და წინა პლანზე წამოვწიეთ რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობა. 3) კონტენტ ანალიზი - შევისწავლეთ და განვიხილეთ სხვადასხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რის შედეგად მოვახდინეთ ლოგიკური და თანმიმდევრული დასკვნების გაკეთება.

თემის აქტუალობას წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის რეგიონის როლის და მნიშვნელობის ზრდა თანამედროვე რეალობაში, რომლის პროცესები ხასიათდება: განსაკუთრებული დინამიურობით, გეოპოლიტიკური ვითარების და სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების მნიშვნელობით.

შედეგები და მსჯელობა

ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება შეიძლება მოხდეს ხელოვნურად, ისტორიული ფაქტორების გამო. გასული საუკუნის 80-იან წლებში აფხაზმა სეპარატისტებმა მოახერხეს აფხაზეთისათვის საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება. 1988 წლის 13 დეკემბერს აფხაზეთში შეიქმნა აფხაზთა სახალხო ფორუმი „აიდგილარა“, რომლის მთავარი ფუნქცია იყო გამხდარიყო ქართული ეროვნული მოძრაობისთვის შემაკავებელი ფაქტორი. სწორედ „აიდგილარას“ ინიციატივით, 1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში ჩატარდა აფხაზთა თავყრილობა, რომელსაც შედეგად მოჰყვა „ლიხნის მიმართვის“ სახელით ცნობილი დოკუმენტის მიღება (გიგინეიშვილი, 2025, გვ. 53). აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმომწერთა შორის იყო აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე გვარამია. სწორედ ეს ფაქტი აღმოჩნდა განსაკუთრებული აღშფოთების მიზეზი, რადგან ალექსანდრე გვარამიას მიმართ განსაკუთრებული სიმპათიებით იყო განწყობილი ქართველი სტუდენტობა და სწორედ მისგან ვერ აიტანეს ღალატად შეფასებული

„ხელმოწერა“. სწორედ ლიხნის მიმართვას მოჰყვა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია სოხუმში, როდესაც სეპარატისტები თავს დაესხნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს, რასაც მოჰყვა მსხვერპლი (გიგინეიშვილი, გვ.54). იმდროინდელმა მოვლენებმა განაპირობა 1989 წლის 9 აპირლის უმძიმესი ტრაგედია და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი, რომლის შემდეგად 1989-1992 წლებში იძულებით გადაადგილებულმა ადამიანებმა (როგორც გაირკვა აღნიშნულ პერიოდში, საქართველოდან 27 გადასახლებული პირი ლტოლვილად იქნა აღიარებული, ხოლო 530 პირს მიეცა დროებითი თავშესაფარი) რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად მიიღეს „დევნილის“ სტატუსი (საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან....., 2009, გვ. 509).

იმდროინდელი ელიტები შეუდგნენ ეთნიკურად ოსი და ეთნიკურად აფხაზი მოსახლეობის მობილიზებას „დაჩაგრულ უმცირესობად“ მიჩნევის აღნიშვნით. აფხაზეთი (აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა) გამოეყო საქართველოს და 1992 წლის 23 ივლისს გამოაცხადა დამოუკიდებლობა. თვითგამოცხადებული აფხაზეთის ტერიტორიაზე სატვირთო მატარებლებზე ხორციელდებოდა თავდასხმები. მართალია საერთაშორისო საზოგადოებამ ეს განცხადება უარყოფითად შეაფასა, თუმცა მკაფიო სახის ნაბიჯები არ გადადგმულა, რამაც კიდევ ერთხელ დაამძიმა იმდროინდელი უკონტროლო სიტუაცია ეთნიკურ აფხაზ და ეთნიკურ ქართველებს შორის. ლოგისტიკური დახმარებისა და იარაღის მიწოდების გარდა, სეპარატისტთა მხარეს იბრძოდნენ რამდენიმე პარამილიტარული ჯგუფი და სამხედრო დანაყოფი, ისევე როგორც, რუსი „მოხალისეები“, რომელთა ნაწილის გაწვრთნა, აღჭურვა და ტრანსპორტირება უზრუნველყო რუსეთმა. აფხაზეთში გავლენების გასამყარებლად რუსეთმა მიმართა ორი სახის მოქმედებას: 1) თურქეთის პოლიტიკური გავლენის შესუსტება; 2) საქართველოს ისტორიულ-კულტურული და იდეოლოგიური გავლენების განადგურება; 1993 წლის სექტემბერში სოხუმის აღებისას, მოიერიშე სამხედრო დანაყოფებს შორის, „მოხალისე მებრძოლთა“ რაოდენობა აღემატებოდა ადგილობრივ ეთნიკური აფხაზ მებრძოლებს. ასეთი აქტიური ჩართულობა შესაძლოა აიხსნას იმ ფაქტით, რომ 1990–იანი წლების დასაწყისში რუსეთის ფედერაციის მთავრობას არ ჰქონდა თანმიმდევრული და ერთიანი საგარეო პოლიტიკური კურსი სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში (ბოკუჩავა, 2024). ერთის მხრივ რუსეთის ფედერაციამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ შესამჩნევი იყო, რომ განხორციელებული ნაბიჯის პარალელურად, დადასტურებული ინფორმაციით რუსეთის ფედერაციამ აფხაზ სეპარატისტებს მიაწოდა შეიარაღება, მათ შორის: ცეცხლსასროლი იარაღი, ხელმყუმბარა და ასაფეთქებელი საშუალებები, საავტომობილო ტექნიკა, რამდენიმე ტყვიამფრქვევი და სხვა აღჭურვილობა.

აღსანიშნავია, რომ პროფ. ბესარიონ ჯორბენაძის ინიციატივით შემუშავებული და 1988 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნებული „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი“ დამტკიცდა 1989 წლის 15 აგვისტოს. აღნიშნული პროგრამა ისე გაუქმდა, რომ მისი განხორციელებისათვის რეალური ნაბიჯების გადადგმა ვერ მოესწრო (სახელმწიფო ენის სტრატეგია 2021-2030 და სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა ენობრივი დაგეგმვის გამოცდილება გვ.11). ქართული ენის კონსტიტუციურ სიმაღლეზე გამყარებასთან დაკავშირებით ეთნიკურმა ოსურმა მხარემ საქართველოს (იმდროინდელ) მთავრობას მოსთხოვა პატივი ეცა ოსური იდენტობისათვის და მოითხოვა ოსური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. საქართველოს მთავრობის პასუხი ამ მოთხოვნაზე უარყოფითი იყო (გადაწყვეტილებას არაკონსტიტუციურად თვლიდა), რის საფუძველზეც ქართულმა მხარემ ოსეთის ავტონომიური ოლქი გააუქმა. ამასთან ქართულ-ოსური კონფლიქტი გამოუვალი მდგომარეობისკენ მიდიოდა, ცხინვალი უნდობლობას უცხადებდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ ქმედების შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ

იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციით და გააუქმა დადგენილება სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ.

1985-იანი („პერესტროიკის“) წლებიდან აფხაზეთში ღვივდებოდა სეპარატიზმი, რასაც მოჰყვა 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიერ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის ცალმხრივად გაუქმება. დასავლეთ საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების განმუხტვის მიზნით სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შინაგან ჯარებს აღედგინათ სტაბილურობა დასავლეთ საქართველოში. ზვიად გამსახურდია მოერიდა სიტუაციის გამწვავებას და მოუწოდა თავის მომხრეებს არ გაეწიათ დახმარება აფხაზეთში მებრძოლებისთვის. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ 1990 წლის დეკემბერში თავჯდომარედ აირჩია ვლადისლავ არძინბა. საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას მეთაურობით კვოტური პრინციპით აგებულ უზენაესი საბჭოს შექმნას დათანხმდა (იხ. https://iberiana2.wordpress.com/segm/gvardia-6/ უკანასკნელად გადამოწმებულია: 04.02.2026).

1991 წლის 21 დეკემბერს, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისისა და სამოქალაქო ომის ფონზე მიმდინარე პროცესები უშუალო გავლენას ახდენდა აფხაზეთში ომის წარმოებაზე და ხშირად, სწორედ მასვე უკავშირებენ სოხუმის დაცემასა და მის ისეთ მძიმე შედეგებს, მათ შორის: 300 ათასი ქართველის გამოდევნა აფხაზეთიდან, კონტროლის დაკარგვა აფხაზეთის ტერიტორიაზე და განადგურებული ეკონომიკა (ჩუბინიძე გ., (2024), 1992 წელი – ანუ როგორ იწყებოდა ომი აფხაზეთში, იხ: https://geabconflict.net/ge/1992-weli-anu-rogor-iwyeboda-omi-afkhazetshi/). აფხაზეთში ვლადისლავ არძინბას ხელისუფლება, საკანონმდებლო ცვლილებების გზით, ეტაპობრივად გადიოდა საქართველოს შემადგენლობიდან, თბილისი კი ამას ეფექტიან წინააღმდეგობას ვერ უწევდა, თუმცა არც თავად სახელმწიფო საბჭოს ლიდერი ედუარდ შევარდნაძე ცდილობდა მასთან საქმიან დიალოგის წარმოებას. 1992 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით საქართველოს ეკონომიკის ყველა დარგი ჩამოშლის პირას იყო, რასაც თან ერთვოდა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული გამოწვევები. თითქმის ყველგან შემცირდა ტვირთბრუნვა, მგ: რკინიგზამ იანვარ-ივნისში, წინა წელთან შედარებით, სამჯერ ნაკლები ტვირთი გადაიტანა (გადატანილი ტვირთის რაოდენობამ შეადგინა 3546.9 ტონა) (1992 წელი - ანუ როგორ იწყებოდა ომი აფხაზეთში (2023) იხ: https://socialjustice.org.ge/ka/products/1992-tseli-anu-rogor-itsqeboda-omi-afkhazetshi უკანასკნელად გადამოწმებულია 15.10.2025). როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო 1993 წლის 30 სექტემბერს რუსეთის სამხედრო რესურსებისა და დაქირავებული რაზმების ხელშეწყობით, სეპარატისტებმა განახორციელეს აფხაზეთის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია, რის შედეგადაც განხორციელდა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, რაც დადასტურდა: ბუდაპეშტის 1994 წლის, ლისაბონის 1996 წლის და სტამბოლის 1999 წლის სამიტების რეზოლუციებში. აფხაზეთში შესვლის მოტივად საქართველო დღემდე რკინიგზის უსაფრთხოების დაცვას ასახელებს, თუმცა ცხადია, რომ ეს მხოლოდ მოტივი იყო, რეალური მიზეზი კი სრულიად „სხვა“ იყო - თუმცა რა არის ეს „სხვა“ აღნიშნულთან დაკავშირებით კვლევაზე დაფუძნებული და შეთანხმებული პასუხ(ებ)ი არ არსებობს (სოციელური სამართლიანობის ცენტრი, (2023) 1992 წელი - როგორ იწყებოდა ომი აფხაზეთში, იხ: https://socialjustice.org.ge/ka/products/1992 უკანასკნელად გადამოწმებულია: 28.10.2025).

თუ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების უმრავლესობას დავაკვირდებით შესამჩნევია, რომ დაპირისპირებულ ბანაკებს შორის ვლინდება მკვეთრი ურთიერთმიუღებლობა. თუმცა ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ ოსებს შორის მცირედით თუ შეიმჩნეოდა ასეთი ფაქტორი (არ ვლინდებოდა ყოფითი მნიშვნელობის ურთიერთპრეტენზიები) წინააღმდეგობები უმეტესად პოლიტიკოსების მიერ ხელოვნური გზით იყო შექმნილი, ამგვარ დამოკიდებულებებს 2008 წლის ომმა დაღი დაასვა. 2004 წლის ზაფხულში განვითარებულმა მოვლენებმა გამოავლინა ამ კონფლიქტის დინამიკის

შესაძლო სავალალო ხასიათი, მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2004 წლის სექტემბერში გაეროს 59-ე გენერალური ასამბლეის წინაშე გაკეთებული განცხადება კონფლიქტის ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვარების შესახებ, აგრეთვე 2005 წლის იანვარში სტრასბურგში გაჟღერებული სამშვიდობო ინიციატივები და იმავე წლის ზაფხულში მთავრობისა და ებერტის ფონდის მიერ ერთობლივად ორგანიზებული ბათუმის კონფერენცია, როდესაც ზემოხსენებული ინიციატივები უფრო გაშლილი პროექტების სახით იქნა წარმოდგენილი. ამ პროცესის ერთგვარ კულმინაციად იქცა ლუბლიანას ეუთოს მინისტერიალზე პრემიერ მინისტრის მიერ წარდგენილი დროში გაწერილი სამშვიდობო გეგმა (ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ ,(ფონდი ,,ღია საზოგადოება - საქართველო" 2005). იხ: https://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/ უკანასკნელად გადამოწმებულია 04.11.2025).

2008 წლის სექტემბერში საფრანგეთის თავჯდომარეობით გამართულ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე განიხილებოდა საქართველოს საკითხი. ქ. ბრიუსელში საქართველოს დელეგაცია წარმოდგენილი იყო: პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძის, საგარეო საქმეთა მინისტრი ეკა ტყეშელაშვილის, სახელმწიფო მინისტრი ინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობიშვილის სახით. 2008 წლის კონფლიქტის მიზეზებთან დაკავშირებით არსებობს შეხედულება, რომ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის სამხედრო კონფლიქტი 2008 წელს მოულოდნელად არ დაწყებულა, არამედ იყო ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი და შემდეგ არაერთხელ ძალადობაში გადაზრდილი გრძელვადიანი ისტორიული, პოლიტიკური და უსაფრთხოების დაძაბულობის შედეგი (König M., The Georgian-South Ossetian Conflict, OSCE Yearbook 2004, Baden-Baden 2005, pp. 237-249). კონფლიქტმა მნიშვნელოვანი რყევები გამოიწვია, რომელთა შორისაა: ასი ათასობით ადამიანის მიერ იძულებით სახლის დატოვება (2008 წლის ომმა დაახლ. ოცდაათი ათასი ეთნიკური ქართველის იძულებით გადასახლება გამოიწვია). კონფლიქტის შედეგად სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან გამოყოფა და დამოუკიდებლობა აღიარა მხოლოდ ხუთმა ქვეყანამ: რუსეთის ფედერაციამ, ნიკარაგუამ, ვენესუელამ, ნაურუმ და სირიამ. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ დრომდე ქართულ-აფხაზური კონფლიქტისაგან განსხვავებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზებისა და დინამიკის შესახებ კვლევაზე, ანალიტიკურ და სარეკომენდაციო დონეზე დიდი ძალისხმევა არ ჩატარებულა. რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ეთნოპოლიტიკური ასპექტის ფონზე მხარეთა შორის ნდობის დამყარება/აღდგენა ამ დრომდე ვერ ხერხდება.

ეთნოკონფლიქტი ხასიათდება როგორც რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტის გაღვივების მარტივი ტექნოლოგია. სოხუმის და ცხინვალის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გარდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში (2020 წლის 10 ნოემბრამდე) მიმდინარეობდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. სამხრეთ კავკასიაში არსებული ეთნოკონფლიქტი, რომელიც გადაიქცა რეგიონალურ კონფლიქტად და გასცდა მის ფარგლებს, რამდენიმე ეტაპად შეგვიძლია დავყოთ:

(ა) **პირველი ეტაპი.** 1988-1991 წლების ეთნიკური დაპირისპირება საბჭოთა აზერბაიჯანში, რაც მალევე გადაიქცა ორ საბჭოთა რესპუბლიკას შორის კონფლიქტად. მთიანი ყარაბაღის პირველი ომი იყო ეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტი, რომელიც 1988 წლის თებერვლიდან 1994 წლის მაისამდე მიმდინარეობდა. 1988 წლის თებერვალში მთიანი ყარაბაღის რეგიონულმა საბჭომ ოფიციალურად მოითხოვა აზერბაიჯანისგან მთიანი ყარაბაღის სომხეთისთვის გადაცემა. აღნიშნული წარმოადგენდა საბჭოთა სისტემის ფარგლებში იურიდიულ-პოლიტიკური მიმართვას და არა დამოუკიდებლობის დეკლარაციას, თუმცა მან გამოიწვია ჯაჭვური რეაქცია. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, საბჭოთა სისტემის შემაკავშირებელი სამართლებრივი ჩარჩო გაქრა. შედეგად თვითგამორკვევის (ყარაბაღელი სომხები) და ტერიტორიული მთლიანობის (აზერბაიჯანი) ურთიერთშორისი პრეტენზიები გამკაცრდა, რამაც 1992-1994 წლებში წარმოშვა

სრულმასშტაბიანი ომი. (ბ) **მეორე ეტაპი.** 1991-1994 წლების სამხედრო დაპირისპირება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოცენებულ ორ სუვერენულ სახელმწიფოს - სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც 1994 წელს დასრულდა ბიშკეკის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით (Avakian S., (2015) Nagorno Karabakh - legal aspects (fifth edition) გვ.17-21, იხ: https://karabakhfacts.com/wp-content/uploads/2010/01/Legal-Aspects_Nagorno-Karabagh_en_2015.pdf უკანასკნელად გადამოწმებულია 15.11.2025). (გ) **მესამე ეტაპი** - 1994 წლიდან დღემდე მიმდინარეობს მოლაპარაკებები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადასაწყვეტად, რომელთა ფარგლებშიც შეთანხმების მიღწევა ამ დრომდე ვერ ხერხდებოდა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის გაცხადებულმა მიდგომამ (იმის შესახებ, რომ თუ კონფლიქტი მოლაპარაკებებით არ დარეგულირდებოდა, ამას სამხედრო ძალით დაარეგულირებდა, ხოლო სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის განცხადებამ „ყარაბაღი სომხეთია. წერტილი!") ურთიერთშორის წინააღმდეგობაში მოდიოდა (გელაძე შ., 2021 გვ.11). არსებითი მნიშვნელობის მქონეა, რომ ყარაბაღის კონფლიქტის ყოველ ფაზაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის მტკიცე პოზიცია იყო „მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაა და მისი შეცვლის ნებისმიერი მცდელობა - ავტონომიის გაფართოებით, გადაცემით ან დამოუკიდებლობით - მიუღებელია".

როგორც ცნობილია, კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის მიზნით 1992 წლის მაისში შეიქმნა „ეუთო-ს მინსკის ჯგუფი" და განისაზღვრა სამომავლო სამშვიდობო კონფერენციის მანდატი. კონფერენციაზე აზერბაიჯანი და სომხეთი მიჩნეულ იქნა კონფლიქტის მხარეებად, ხოლო მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანული და სომხური სათვისტომოები კი დაინტერესებულ მხარეებად. 1994 წლის მაისში „მინსკის ჯგუფი"-ს მიერ მიღწეულ იქნა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი, რის შემდეგაც 1996 წლის დეკემბერში ეუთო-ს ლისაბონის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებმაც სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ განსაზღვრეს კონფლიქტის დარეგულირების საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა, შეიძლება მივიჩნიოთ დიდი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ მიღწევად სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის სამართლიანი დარეგულირებისათვის. 1997 წლის 1 ივნისს „ეუთოს მინსკის ჯგუფი"-ს თანათავმჯდომარეებმა რუსეთის ფედერაციის, ამერიკის შეერთებული შტატების და საფრანგეთის სახით ლისაბონის პრონციპებზე დაყრდნობით წარმოადგინეს კონფლიქტის დარეგულირების ყოველმხრივი შეთანხმების ორ ნაწილიანი პროექტი - შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტა და მთიანი ყარაბაღის სტატუსის განსაზღვრა (აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მისი აღმატებულება ბატონ უილიამ ჯ.კლინტონისადმი (ბაქო, 8 თებერვალი 1999). იხ: https://lib.aliyevheritage.org/ge/4100780.html უკანასკნელად გადამოწმებულია 05.12.2025).

2020 წლის ივლისში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მოხდა სამხედრო შეტაკება, რომელსაც მოყვა მნიშვნელოვანი მსხვერპლი. სწორედ 2020 წლის ივლისიდან გააქტიურდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოსახლეობა, რომელიც აზერბაიჯანელი ხალხის სურვილში ეჭვის შეტანის გარეშე პირდაპირ მოითხოვდა ხელისუფლებისგან გადამჭრელი ზომების მიღებას. 2020 წლის 29 ივლისიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკამ და თურქეთმა დაიწყეს ერთობლივი ფართო-მასშტაბიანი წვრთნები, რომლებიც გაგრძელდა 2020 წლის 27 სექტემბრამდე (ვიდრე დაიწყებოდა კონფლიქტის აქტიური ფაზა). აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის შეჩერებისთვის გარკვეული ძალისხმევა გაიღო როგორც რუსეთის ფედერაციამ, ისე ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ასევე გაფორმდა დროებითი შეთანხმებებიც, თუმცა ისინი ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რის შემდეგ კონფლიქტი არ შეჩერებულა. სწორედ 2020 წლის 9 ნოემბერს ქალაქ შუშას აღება აღმოჩნდა კონფლიქტის ცხელი ფაზის დასრულების განმაპირობებელი, რამდენადაც ქ. შუშა მთიანი ყარაბაღის მთავარი ქალაქია. მთიანი ყარაბაღის 2020 წლის კონფლიქტის აქტიური ფაზა

დამთავრდა 2020 წლის 9 ნოემბერს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკას, რუსეთის ფედერაციასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებული სამმხრივი ხელშეკრულებით (სამადბეგიშვილი ს., მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შუალედური დასასრული, როგორც საეტაპო მოვლენა კავკასიის რეგიონისთვის (16 ნოემბერი, 2020). იხ: https://www.geocase.ge/ka/publications/305/mtiani-yarabaghis უკანასკნელად გადამოწმებულია 03.12.2025). ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა აღნიშნული საკითხი საქართველოსთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, ვინაიდან სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობა წარმოადგენს საქართველოს ორ უმთავრეს ეთნიკურ უმცირესობას, რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება ქვეყნის მოსახლეობის 10%-ს.

ზემოაღნიშნული სამმხრივი შეთანხმება ტოვებს გარკვეული სახის სიცარიელეს. მგ: 2020 წლის შეთანხმებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაუგებარი რჩება თურქეთის როლი და თურქეთის ჩართულობა ამ პროცესში. 2020 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება არ მიუთითებს თურქეთის როლის შესახებ. ამასთან, აზერბაიჯანის რესპუბლიკა და თურქეთი მიუთითებენ თურქი სამშვიდობოების ყარაბაღში განთავსების შესახებ, ხოლო რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ეს საკითხი არც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული და არც სხვა სახის შეთანხმებით.

მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესები და საქართველოს გეოპოლიტიკური როლის მნიშვნელოვანი ზრდა განამტკიცებს საქართველო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას, რაც წარმოადგენს საქართველოს უმთავრეს მიზანს. მიმდინარე რეგიონული კონფლიქტების შედეგად სამხრეთ კავკასიის რეგიონი ნაწილობრივ დაბლოკილია, რაც ასევე აფერხებს მის ეკონომიკურ განვითარებას, მგ: სოხუმის და ცხინვალის სატრანსპორტო გზების გამოუყენებლობა (სამხრეთ კავკასია რეგიონალურ გეოპოლიტიკაში, იხ: https://publicist.ge/info/1851/ უკანასკნელად გადამოწმებულია 10.11.2025). ანალიტიკოსი ნიკა ჩიტაძე თვლის, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონული განვითარების მთავარ შემაფერხებელი ფაქტორია კონფლექტები, რომლებიც ჯერ კიდევ 1990-იან წლებში წარმოიშვა. ანალიტიკოსი ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ სამხრეთ კავკასიაში ანგლოსაქსური ინტერესები არ გამოირიცხება, თუმცა თურქეთი ცდილობს იყოს დამოუკიდებელი რეგიონული მნიშვნელობის მოთამაშე და განიმტკიცოს საკუთარი პოზიციები შავი ზღვის რეგიონში და არ იყოს დამოკიდებული არც ბრიტანეთზე, არც ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ ცივი ომის პერიოდში თურქეთი უფრო მეტად იყო დამოკიდებული აშშ-ზე, რაც დასტურდება თურქეთის ტერიტორიაზე გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსთვის განთავსებული შვიდი ამერიკული ბაზით. ცივი ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და რუსეთის ფედერაციისგან თურქეთზე თავდასხმის საშიშროება მოიხსნა, თურქეთი უფრო გააქტიურდა და დღემდე ცდილობს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, კერძოდ ცდილობს საკუთარი პირობები უკარნახოს როგორც დასავლეთს, ისე რუსეთს (ლოლაშვილი მ., ანგლოსაქსური ელიტა ახორციელებს გლობალურ პოლიტიკას მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაშიც, (23.09.2022). იხ: https://for.ge/view/237681/anglosaqsuri-elita-axorcielebs უკანასკნელად გადამოწმებულია 20.11.2025).

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია ნაკლებად ცდილობს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებას, მათ შორის რუსეთი არ ემხრობა ქართველი ლტოლვილებას დაბრუნებას აფხაზეთში, თუმცა აღნიშნული არ შეიძლება გახდეს ძალისმიერი მეთოდებით დაპირისპირების საფუძველი. საამისოდ საჭიროა სტრატეგიული მოთმინების და კონსტრუქციული მოლაპარაკებების წარმოება. საქართველომ მიზნობრივად და სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად უნდა გამოიყენოს დღევანდელი გეოპოლიტიკური რეალიები. მივიჩნევთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს უზენაეს კანონთან, რომელიც

განამტკიცებს „უნიტარულ სახელმწიფო წყობას“ (კონფედერაციის შესახებ საკითხის დაყენება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას), ნაცვლად საჭიროა საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით საკითხის მოგვარება. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოსაგვარებლად 2012 წლის აბაშიძე-კარასინის პრაღის ფორმატი აღარ არის საკმარისი. არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები ნათელი დადასტურებაა, რომ წამყვანი აქტორები არ ინტერესდებიან რეგიონული კონფლიქტების კონსტრუქციულ გადაწყვეტაში, არამედ ცდილობენ არსებული კონფლიქტების მეტად გამწვავებას.

2010 წლიდან სომხეთის რესპუბლიკის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში ერთიანი კავკასიის შექმნის გეგმა დროდადრო განიხილება და ითვლება, რომ კავკასიის გაერთიანებამ შეიძლება კონფლიქტების მოგვარებას შეუწყოს ხელი. სომხეთის რესპუბლიკას სამხრეთ კავკასიის გაერთიანება ყარაბაღის გამო აძლევდა ხელს, რაც იმ დროისთვის მიუღებელი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკისთვის (ასლანიძე ნ., რატომ ტივტივებს ერთიანი კავკასიის იდეა, (22.10.2011). იხ: https://for.ge/view/4011/ratom-tivtivebs-erTiani-kavkasiis-idea.html უკანასკნელად გადამოწმებულია 20.11.2025). აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამ და რუსეთის ფედერაციის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დადებამ შეცვალა ძალთა ბალანსი რეგიონში. თურქეთმა და რუსეთის ფედერაციამ მიაღწიეს ურთიერთშეთანხმებას, რამაც გაზარდა მათი გავლენა ორივე სახელმწიფოში. სწორედ აღნიშნული ომის დროს შეინიშნებოდა თურქული სამყაროს გეოპოლიტიკური სტატუსის ზრდა, როდესაც სრულად თურქული სამყაროს (თურქულენოვან, ურალურ ხალხთა) გამარჯვება, შუშის დეკლარაციაში ჩაიწერა - ერთი ერი ორი სახელმწიფო. აღსანიშნავია, დასავლეთს არ გამოუჩენია ომის გადაწყვეტაში აქტიური ჩართულობა, რაც კიდევ უფრო ამცირებს ევროკავშირის გავლენას სამხრეთ კავკასიის რეგიონში. 2022 წლის უკრაინის ომი წარმოადგენს რეგიონში სტაბილურობის, უსაფრთხოების შემდგომ ეროზიას და შეტევას საერთაშორისო სამართალზე (გეოპოლიტიკური რყევები სამხრეთ კავკასიაში (8 აგვისტო 2022), იხ: https://ge.boell.org/ka/2022/08/08/geopolitikuri-rqevebi-samkhret-kavkasiashi-2022 უკანასკნელად გადამოწმებულია 15.12.2025). აღსანიშნავია, რომ დასავლური მედიის ცნობით 2026 წლის გაზაფხულზე უკრაინაში შესაძლოა საპრეზიდენტო არჩევნები და რუსეთის ფედერაციასთან სამშვიდობო შეთანხმებაზე რეფერენდუმი ჩატარდეს. ამ ეტაპზე უკრაინის ომთან დაკავშირებით სამმხრივი სამშვიდობო მოლაპარაკება მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის ფედერაციის და უკრაინის წარმომადგენელთა შორის. ყველაზე რთულ საკითხს წარმოადგენს „ტერიტორიული დათმობა“, რომელიც რეფერენდუმის მეშვეობით უნდა გადაწყდეს. აღნიშნულ პოზიციას ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთის ფედერაცია (ვეკუა მ., რეზონანსი 12.02.2026). კიევში ჯერ არ ადასტურებენ ცნობას, რომ გაზაფხულზე უკრაინაში არჩევნები და რეფერენდუმი ჩატარდება).

აღნიშნული ომის შემადგენელი ნაწილია საინფორმაციო-კოგნიტური ომი, კერძოდ ომის დაწყებიდან ორი თვის მანძლზე მომზადდა ხუთ მილიონამდე მცდარი, დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომლებიც სხვადასხვა წყაროს საშუალებით გავრცელდა. რეგიონული უსაფრთხოების მიზნებისთვის აღსანიშნავია 2025 წლის სექტემბრის ბაქოს უსაფრთხოების ფორუმი, რომელსაც დაესწრო ოთხმოცდათხუთმეტი ქვეყნის სპეცსამსახურის პირველი პირი. აღნიშნული ფორუმი 2025 წლის აპრილში გაიმართულ ბაქოს VII საერთაშორისო ფორუმთან შედარებით უფრო ფართომასშტაბიან და წარმომადგენლობით სახეს იძენს, სადაც რამდენიმე ქვეყნის ოთხმოცამდე ექსპერტი იყო მიწვეული, რომელთა შორის წარმოდგენილი იყო საქართველოც. სახელმწიფო სპეცსამსახურებს შორის თანამშრომლობა თავისი არსით განსხვავდება ქვეყნებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობისგან, რამდენადაც სპეცსამსახურებს შორის კოოპერაცია მიზნად ისახავს საერთო ინტერესების გამოვლენას დიალოგის მეშვეობით.

მიმდინარე მოვლენები ავლენს რუსეთის ფედერაციას და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის რეალური სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკის არარსებობას, რაც განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიის მიმართულებით რუსეთის საგარეო პოლიტიკის სისუსტეების აქტუალობას (И.А. Панов М.Р Деметрадзе С.П. Шорохова, (2023) გვ.37). ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება და ყველა დევნილი არ დაბრუნდება საქართველოში უცხო დევნილების მიღების პრაქტიკული და თეორიული საშუალება საქართველოს არ აქვს. ისტორიული გადმოცემების გაღვივება არ უნდა ახდენდეს გავლენას სამეზობლო სივრცეში სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ისტორიკოსი ალექსანდრ ვასილევი აღწერს რუსი ერის ეთნოპოლიტიკურ სურათს. მისი მითითებით მეტად იოლია მათი დამორჩილება, ვინაიდან ყოველთვის ეძებენ ლიდერს. რუსი ეთნოსი მორჩილი ხალხია, მათში დომინირებს სამართლიანობის განცდა. რიგ ქვეყნებს არაერთი ხიფათი შეხვდა იმის გამო, რომ მცდარად აფასებდა რუსეთის ფსიქოლოგიას. ბრძოლის დროს რუსეთი ძლიერდება და ავლენენ საოცარ კონსოლიდაციას, ხოლო მშვიდობის დროს მოლაპარაკებების საწარმოებლად უფრო მეტი შანსი ჩნდება. „ნუ გააღვიძებთ რუს დათვს - მიეცით საშუალება დაიძინოს“ - ამ შეფასებით გერმანიის პირველ კანცლერი, ოტო ფონ ბისმარკი ასახავდა რუსეთის უსასრულობისა და პოტენციური ძალაუფლების სტრატეგიულ შეხედულებას, რითაც ბისმარკი ხაზს უსვამდა, რომ უმჯობესია რუსეთის პროვოცირებისგან თავის არიდება, რადგან მისი პასიური მდგომარეობა (რომელიც წარმოადგენს შედარებით უმოქმედობას ან იზოლაციას) უფრო სასურველია, ვიდრე აქტიური გამოღვიძებული მდგომარეობა, რომელიც წარმოადგენს პოტენციურ აგრესიას ან რღვევას. განსხვავებულ დამოკიდებულებას საჭიროებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომლისთვისაც ურთიერთობის წარმოების ძირითადი მსაზღვრელია საფინანსო-ეკონომიკური პროექტები. ამდენად, საქართველოს აქვს მეტი ისტორიული გამოცდილება და დიპლომატიური მოქნილობა.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ივნისში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუცია „აფხაზეთიდან, საქართველოდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების სტატუსის შესახებ“, რომელიც ეხება იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსს, აღსანიშნავია რომ გაეროს არ მიუღია რეზოლუცია აფხაზეთში ინვესტიციების განხორციელების შესახებ (Грузия: Генассамблея ООН приняла резолюцию о вынужденных переселенцах из Абхазии и Южной Осетии, (Новости ООН 4.06.2024). იხ: https://news.un.org/ru/story/2024/06/1452981 უკანასკნელად გადამოწმებულია 14.11.2025). გაეროს გენერალურ ასამბლეამ ხმათა უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელებული ნებისმიერი ინვესტიცია (მათ შორის: ნასყიდობის ხელშეკრულება ან სამშენებლო კონტრაქტი) არის უკანონო, ვიდრე არ აღდგება საქართველოს იურისდიქცია. აღნიშნული გამომდინარეობს საქართველოს სუვერენიტეტის მნიშნველოვან ფაქტორს, რაც დადგენილი უნდა იყოს საერთაშრისო დონეზე.

პოლიტიკური რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰენრი კისინიჯერი აღნიშნავს, რომ „აშშ-მ უნდა დაშალოს ჩინეთ-რუსეთის კავშირი. წინააღმდეგ შემთხვევაში აშშ უდაოდ დამარცხდება“ (Kissinger H., The Architect of China shift to US from Russia is no more, (ABS News Service/30.11.2023). იხ: https://worldtradescanner.com/Henry%20Kissinger უკანასკნელად გადამოწმებულია 14.11.2025). დღევანდელ რეალობაში ვლინდება საერთაშორისო ურთიერთობების გარემოს ცვლილება. ამერიკის შეერთებული შტატების 47-ე პრეზიდენტის საერთაშორისო არენაზე პოზიციონირება[1] შესაძლებელს ხდის მის

[1] ძალის პროექციასთან მიმართებით მნიშვნელოვნად მივიჩნევთ წარმოვადგინოთ, რომ პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი თავის წიგნში „პრობლემები, რომლებსაც ჩვენ ვაწყდებით“ აშშ-ს 37-ე

ჩართვას სამხრეთ კავკასიაში არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების საკითხში (მათ შორის: აფხაზეთის რკინიგზის ამუშავება ხელს შეუწყობს ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფანის გახსნას). ხსენებულ მარშუტთან დაკავშირებით აღსანიშნავია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის დიმიტრი მასიუკის 2025 წლის 1 ივლისის განცხადება „რუსეთი დაინტერესებულია საქართველოს გააქტიურებით ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანში". საქართველო ჩართულია აღმოსავლეთსა და დასავლეთს დამაკავშირებელ არაერთ ძირითად საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანში, რაც საქართველოსთვის უზრუნველყოფს ჩინეთი-ევროპის მარშრუტზე სატრანზიტო კვანძის ფუნქციას. მათ შორისაა ე.წ. შუა დერეფანი, რომელიც რუსეთის გავლით მარშრუტების ალტერნატივას წარმოადგენს და რომელიც ყაზახეთის რესპუბლიკის, კასპიის ზღვის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოს გავლით თურქეთისა და ევროპის გავლით გადის. უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, ამ მარშრუტის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა (რუსეთი მზადაა, საქართველო ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფანთან დააკავშიროს, (Информационное агентство ТАСС 01.08.2025). იხ: https://tass.ru/ekonomika/24400609 უკანასკნელად გადამოწმებულია: 04.12.2025). ამ მარშუტთან დაკავშირებით საყურადღებოა რუსეთის მრეწველებისა და მეწარმეთა კავშირის ხელმძღვანელის ალექსანდრ შოხინის განცხადება - „ადრე თუ გვიან სამხრეთ ოსეთის სატრანზიტო პოტენციალი აღდგება და მისი ტერიტორია და ტრანსკავკასიური ავტომაგისტრალი ჩრდილოეთ-სამხრეთის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის სატრანზიტო არტერიად გადაიქცევა". შოხინის განცხადებით "სამხრეთ ოსეთის" გავლით საქართველოში ტრანზიტის პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია. ჩრდილოეთ სამხრეთის მარშუტთან დაკავშირებით რუსეთის მრეწველებისა და მეწარმეთა კავშირის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული მარშრუტით დაინტერესებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ეს საკითხი არა "სამხრეთ ოსეთსა" და საქართველოს ან რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობად, არამედ საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნად უნდა იქნეს მიჩნეული, რომელშიც მონაწილეობენ ძლიერი მოთამაშეები (სულაბერიძე ლ., "სამხრეთ ოსეთი" ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის სატრანზიტო არტერიად უნდა გადაიქცეს - ამ მარშრუტით ჩინეთი არის დაინტერესებული" - რუსეთის მეწარმეთა კავშირი, (19 სექტემბერი, 2025 წელი). იხ: https://www.bpn.ge/article/143681-samxret-oseti უკანასკნელად გადამოწმებულია 01.12.2025). საგარეო პოლიტიკა ყოველი სუვერენული ქვეყნის განუყოფელი ნაწილია, რაც უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო გამოკვეთს სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების მნიშვნელობას. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია პროფ. თამარ კიკნაძის მოსაზრება, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოს და გლობალური უსაფრთხოების ორგანიზებისათვის საგარეო პოლიტიკის გააანალიზების აუცილებლობას როგორც სტაბილური, ისე არასტაბილური განვითარების პირობებში (კიკნაძე თ. კუხალაშვილი დ. ორთანეზაშვილი ა., (2024) გვ.4). აღსანიშნავია, რომ მიმდინარე გლობალური და რეგიონული პროცესები თანაზომიერად არისახება სამხრეთ კავკასიის თითეულ ქვეყანაზე პოლიტიკური. სამეცნიერო-ტექნიკური და პოლიტიკურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოები აქტიურად მოღვაწეობენ უსაფრთხო საგარეო ურთიერთობების ორგანიზებისათვის.

პოლიტოლოგ თამარ კიკნაძის აზრით მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევა და სარგებლის მიღება. შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის ანალიზის ერთ-ერთ ძირითადი მიმართულება არის ზემოჩამოთვლილი ასპექტებით უსაფრთხო ქმედებების დაგეგმვა-განხორციელება, რაც

პრეზიდენტი ძალის ცნებას განსაზღვრავს ქვეყნებს შორის ურთიერთობებში საერთაშორისო პოლიტიკის ინსტრუმენტად. (იხ: Richard M. Nixon, New York 1960, The Challenges We Face, The Soviet Challenge გვ. 24)

ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების აღსრულების მნიშვნელოვანი წინაპირობაა (კიკნაძე თ. კუხალაშვილი დ. ორთანეზაშვილი ა., (2024) გვ.42). ზემოაღნიშნულის შედეგად საყურადღებოა სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურა, კერძოდ იმ შემთხვევაში თუ ისრაელის გაზრახვა დაკავშირებული იქნება ირანის კონფრონტაციასთან, პროცესში ჩართული იქნება ამერიკის შეერთებული შტატები, რაც თავის მხრივ წარმოშობს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ფრონტის საჭიროებას. ამგვარი კონიუქტურით რეგიონული ძალებისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონი იძნეს საყურადღებო მნიშვნელობას.

ეთნოგეოპოლიტიკურ საკითხებს მოიცავს აგრეთვე ე.წ. ზანგეზურის დერეფანთან დაკავშირებული საკითხი. უკანასკნელ წლებში ნახსენებმა თურქი მესხების საკითხმა გამოიწვია წინააღმდეგობის ტალღა, რაც გამოვლინდა ისტორიულ ფონზე ჯაჭვური ემოციური რეაქციით. როგორც ცნობილია, სომხეთის რესპუბლიკამ გამოთქვა მტკიცე ხედვა შეუშალოს ხელი თავის ტერიტორიაზე მისი კონტროლის მიღმა არსებული დერეფნის ფუნქციონირებას. დერეფნის ოპერირების ამერიკული კომპანიისთვის გადაცემის თავიდან ასაცილებლად, რამაც შეიძლება სამხრეთ კავკასიაში ახალი კონფლიქტის ზონა შექმნას, კერძოდ რუსეთის ფედერაციამ შესაძლოა აამოქმედოს რეგიონული მექანიზმები. ამ შემთხვევაში, რუსული მხარის შესაძლო ნაბიჯები მოიცავს სომხეთის ხელისუფლების წინააღმდეგ გადატრიალების პოტენციურ მცდელობას და რეგიონული გავლენების ყველა არსებული ბერკეტის ამოქმედებას.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიზნებისთვის, პირი ითვლება სახელმწიფოს მუდმივ მაცხოვრებლად თუკი საანგარიშო პერიოდის მანძლზე 12 თვის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს ამ სახელმწიფოში. 1989 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობა აღწევდა უმაღლეს ნიშნულს, განისაზღვრებოდა 5.4 მლნ. ადამიანი, საიდანაც 70% იყო ეთნიკურად ქართველი. 1994 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 4.9 მლნ. ადამიანი, საიდანაც ეთნიკურად ქართველთა წილი არის 87%. საქართველოს მოსახლეობის მაჩვენებელი 4 მლნ. ნიშნულს ჩამოსცდა 2002 წელს და გაუტოლდა 3.9 მლნ. ადამიანს. იმდროინდელი პერიოდიდან მოყოლებული საქართველოს მოსახლეობის მაჩვენებელი ინარჩუნებს 3.7 მლნ-იან ნიშნულს. 2025 წლის აღწერით მაჩვენებელი უტოლდება 3,704,506 ადამიანს, საქართველოს მოსახლეობის 15% (575.1 მაცხოვრებელი, მათ შორის ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი ერი) დასახლებულია საქართველოს სამხრეთ ნაწილში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში (კერძოდ: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტსა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტში) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (მოსახლეობის რიცხოვნობა 01.01.2025 მდგომარეობით რეგიონების და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით). იხ: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba უკანასკნელად გადამოწმებულია 01.01.2026).

სახელმწიფო სუვერენიტეტის არსებითი შემადგენელი ნაწილია „საზღვრის დემარკაცია“, სახელმწიფო საზღვრის მდებარეობის განსაზღვრა მოსაზღვრე ქვეყნებს შორის შეთანხმების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით საქართველოს სამეზობლო სივრცეში, საქართველოს და თურქეთს შორის საზღვარი სრულად დემარკირებული და ადგილზე მკაფიოდ მონიშნულია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთის საერთო სიგრძეა 1839 კმ. აქედან, თურქეთთან - 275 კმ. სომხეთის რესპუბლიკასთან - 224 კმ. აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან - 446 კმ. რუსეთის ფედერაციასთან - 894 კმ. (სახელმწიფო საზღვრის საერთო სიგრძე შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სახელმწიფო კომისიების შეთანხმების შედეგად) (იხ: https://mia.police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saqartvelos-sasazghvro-politsia?sub=247 უკანასკნელად გადამოწმებულია 01.12.2025).

სამეზობლო სივრცეში აზერბაიჯანის რესპუბლიკას და სომხეთის რესპუბლიკას შორის შერიგების პროცესი არის დღევანდელი მოცემულლობა, რომლის უკან დგას ზოგიერთი წამყვანი აქტორი, რომლებისთვის მეტად მნიშვნელოვანია გამოიყენონ ეს სამოკავშირეო პლატფორმა თავიანთი გავლენების გაძლიერებისთვის. მგ: ზანგეზურის დერეფნის ფუნქცია, რომელსაც მემორანდუმის დონზე ეწოდა ე.წ. „ტრამპის მარშუტი". თანამედროვე მსოფლიოში წამყვანი სახელმწიფოები მემორანდუმის დონეზე ქმნიან პოლიტიკურ ველს, რაც მიზნად ისახავს მათ მიერ კონკრეტული ქმედების განხორციელებას. ზანგეზურის დერეფანთან დაკავშირებით აღსანიშნავია ლოგისტიკური სექტორის დამოკიდებულება, რომლის მიხედვითაც მიმდინარე ეტაპზე ზანგეზური გეოპოლიტიკურად კარგი პროექტია, თუმცა შემდგომი ორი წლის განმავლობაში აღნიშნულ კორიდორს საქართველოზე გავლენა არ ექნება (ნამადოვი მ., საქართველოს შეუძლია იყოს კავკასიის სინგაპური, ბანკები და ფინანსები 17.10.2025, იხ: https://bfm.ge/news/business/mikheil-namadovi- უკანასკნელად გადამოწმებულია 02.12.2025).

საქართველოს საგარეო ურთიერთობათა საბჭოსა და საქართველოს ატლანტიკური საბჭოს თანადამფუძნებელი და გამგეობის წევრი, თემურ იაკობაშვილის (2010-2013 საქართველოს ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში) სტატიაში „სამხრეთ კავკასიის რეფორმირება" განხილულია, თუ როგორ ცვლის ბოლოდროინდელი გლობალური და რეგიონული კონფლიქტები სამხრეთ კავკასიის (საქართველოს, სომხეთის რესპუბლიკის და აზერბაიჯანის რესპუბლიკის) გეოპოლიტიკურ, უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ დინამიკას. იგი გამოყოფს უკრაინის და მთიანი ყარაბაღის პროცესებს და ამტკიცებს, რომ ერებმა უნდა გადახედონ თავიანთ პოლიტიკურ სისტემებს, უსაფრთხოების სტრატეგიებსა და ეკონომიკურ პრიორიტეტებს, იმისათვის რომ მოერგონ სწრაფად ცვალებად გლობალურ რეალობას და ხელი შეუწყონ სამხრეთ კავკასიის რეგიონულ განვითარებას (YAKOBASHVIL T., Reformatting the South Caucasus, (Issue №06 | May, 2024).

დასკვნა

სტატიაში განხილულია გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონში წარმოშობილი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რეგიონში არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარება წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის რეგიონული ინტეგრაციის მნიშვნელოვან წინაპირობას. მიმდინარე რეალობაში წამყვანი აქტორების მიერ კონკრეტული ქვეყნის მიმართ მიდგომა გამომდიარეობს არსებული პოლიტიკური კონიუქტურიდან. ვიდრე არ მოხდება მიმდინარე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მდგრადი ტრანსფორმაცია სტაბილური მართვის გზით, სამხრეთ კავკასიის რეგიონული ინტეგრაციის პერსპექტივები პრაქტიკაში რჩება შეზღუდული, რამდენადაც ისინი განსაზღვრავენ პოლიტიკურ ლეგიტიმაციის - სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის რეგიონულ კავშირისა და რეგიონული ნდობის სრულყოფას.

მსხვილი აქტორები ნაკლებად ითვალისწინებენ პატარა ქვეყნების ინტერესებს, ცდილობენ შეარჩიონ უკეთესი კონფიგურაცია ახალ საერთაშორისო არქიტექტურაში, რაც წარმოშობს რეგიონული ინტეგრაციის მიზნებისთვის ალიანსების ფორმირების საკითხს. მიმდინარე რეალობაში ვლინდება საქართველოს გეოპოლიტიკური როლი და მნიშვნელობა, რაც 2025 წლის „თბილისის ფორუმს" აქცევს საერთაშორისო შეხვედრის დიდ ტრიბუნად, სამხრეთ კავკასიის რეგიონული დიალოგის და თანამშრომლობის პლატფორმად.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანგარიში. (2009). *საქართველოში მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია,* გვ.509 https://smr.gov.ge/uploads/prev/eb7e7f.pdf

გელაძე, შ. (2021). *ცივი ომის შემდგომი პერიოდი და კონფლიქტების ტრანსფორმაცია, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გაკვეთილები, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული აკადემია. თბილისი*

გიგინეიშვილი, გ. (2025). საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი *„ახალი ევერია“* . <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234 pdf>.

ვეკუა, მ. (12.02.2026). კიევში ჯერ არ ადასტურებენ ცნობას, რომ გაზაფხულზე უკრაინაში არჩევნები და რეფერენდუმი ჩატარდება.გაზეთი *„რეზონანსი“.*

კიკნაძე, თ., კუხალაშვილი, დ., ორთანეზაშვილი, ა. (2024). *პოსტსაბჭოთა ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო კონტურები.* თბილისი: "მწიგნობარი".

ჩიტაძე, ნ., (2018). *პოლიტოლოგია. სახელმწიფოს არსი, მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თბილისი*

ჯაფარიძე, ე., ცნობილაძე. მ. (2022). *რუსეთ-უკრაინის ომი და საქართველო, I საერთაშრისო სამეც. კონფერენცია, დემოკრატია და თანამედროვე საერთაშორისო გამოწვევები. შრომები. საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტი, თბილისი*

Avakian, S. (2015). *Nagorno Karabakh - legal aspects (fifth edition) p.17-21*

Markedonov S., Pavlova A., (2024) Three Dimensions of the South Caucasian Conflicts: Dynamics, Commonalities and Differences, Politics and Religion Journal 18, no.2: 269-289.

Yakobashvili, T. (2024). *Reformatting the South Caucasus. Issue №06 May, 2024* https://politicsgeo.com/wp-content/uploads/2025/08/Temuri-Yakobashvili

Панов И.А. Деметрадзе М.Р. Шорохова С.П. (2023.) *ЮЖНЫЙ КАВКАЗ В СОВРЕМЕННЫХ ГЕОПОЛИТИЧЕСКИХ РЕАЛИЯХ ТУРЦИИ И РОССИИ (том 14 № 2 (39)*

ინტერნეტ რესურსები:

- რუსეთის სამხედრო ჩართულობა აფხაზეთის ომში https://kremlin-roadmap.gfsis.org.ge/ge/news/display/2027 უკანასკნელად გადამოწმებულია: 14.10.2025
- სახელმწიფო ენის სტრატეგია 2021-2030 და სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა ენობრივი დაგეგმვის გამოცდილება იხ. https://www.enadep.ge/uploads/ses .pdf უკანასკნელად გადამოწმებულია: 04.02.2026
- https://iberiana2.wordpress.com/segm/gvardia-6/ უკანასკნელად გადამოწმებულია: 04.02.2026

- 1992 წელი - ანუ როგორ იწყებოდა ომი აფხაზეთში იხ: https://socialjustice.org.ge/ka/products/1992-tseli-anu-rogor-itsqeboda-omi-afkhazetshi უკანასკნელად გადამოწმებულია 15.10.2025
- ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ https://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/ უკანასკნელად გადამოწმებულია 04.11.2025
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მისი აღმატებულება ბატონ უილიამ ჯ.კლინტონისადმი https://lib.aliyevheritage.org/ge/4100780.html უკანასკნელად გადამოწმებულია 05.12.2025
- მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შუალედური დასასრული, როგორც საეტაპო მოვლენა კავკასიის რეგიონისთვის https://www.geocase.ge/ka/publications/305/mtiani-yarabaghis უკანასკნელად გადამოწმებულია 03.12.2025
- სამხრეთ კავკასია რეგიონალურ გეოპოლიტიკაში https://publicist.ge/info/1851/ უკანასკნელად გადამოწმებულია 10.11.2025
- ანგლოსაქსური ელიტა ახორციელებს გლობალურ პოლიტიკას მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაშიც https://for.ge/view/237681/anglosaqsuri-elita-axorcielebs უკანასკნელად გადამოწმებულია 20.11.2025
- რატომ ტივტივებს ერთიანი კავკასიის იდეა https://for.ge/view/4011/ratom-tivtivebs-erTiani-kavkasiis-idea.html უკანასკნელად გადამოწმებულია 20.11.2025
- გეოპოლიტიკური რყევები სამხრეთ კავკასიაში https://ge.boell.org/ka/2022/08/08/geopolitikuri-rqevebi-samkhret-kavkasiashi-2022 უკანასკნელად გადამოწმებულია 15.12.2025
- Грузия: Генассамблея ООН приняла резолюцию о вынужденных переселенцах из Абхазии и Южной Осетии https://news.un.org/ru/story/2024/06/1452981 უკანასკნელად გადამოწმებულია 14.11.2025
- Kissinger H., The Architect of China shift to US from Russia is no more https://worldtradescanner.com/Henry%20Kissinger უკანასკნელად გადამოწმებულია 14.11.2025
- რუსეთი მზადაა, საქართველო ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფანთან დააკავშიროს https://tass.ru/ekonomika/24400609 უკანასკნელად გადამოწმებულია: 04.12.2025

- "სამხრეთ ოსეთი" ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის სატრანზიტო არტერიად უნდა გადაიქცეს - ამ მარშრუტით ჩინეთი არის დაინტერესებული" - რუსეთის მეწარმეთა კავშირი https://www.bpn.ge/article/143681-samxret-oseti უკანასკნელად გადამოწმებულია 01.12.2025
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (მოსახლეობის რიცხოვნობა 01.01.2025 მდგომარეობით რეგიონების და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით) https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba უკანასკნელად გადამოწმებულია 01.01.2026
- https://mia.police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saqartvelos-sasazghvro-politsia?sub=247 უკანასკნელად გადამოწმებულია 01.12.2025
- საქართველოს შეუძლია იყოს კავკასიის სინგაპური, ბანკები და ფინანსები https://bfm.ge/news/business/mikheil-namadovi- უკანასკნელად გადამოწმებულია 02.12.2025

REFERENCES

Angarishi. (2009). saqartveloshi momkhdar konpliqtebtan dakavshirebuli faqtebis damdgeni damoukidebeli saertashoriso misia, gv.509 https://smr.gov.ge/uploads/prev/eb7e7f.pdf [Report (2009) Independent International Fact-Finding Mission on the Conflicts in Georgia, p. 509]

Geladze Shio. (2021). tsivi omis shemdgomi periodi da konpliqtebis transpormatsia, somkhet-azerbaijanis konpliqtis gakvetilebi, ssip - davit aghmasheneblis sakhelobis saqartvelos erovnuli akademia, tbilisi [Geladze Sh., (2021) The Post-Cold War Period and Conflict Transformation, Lessons from the Armenian-Azerbaijani Conflict, LEPL - David Agmashenebeli Georgian National Academy. Tbilisi]

Gigineishvili, G. (2025). sazogadoebriv-politikuri zhurnali "akhali iveria" <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234 pdf>. [Gigineishvili, G. (2025). Socio-political magazine "New Iveria"]

Vekua, M. (12.02.2026). kievshi jer ar adastureben, rom gazapkhulze ukrainashi archevnebi da reperendumi chatardeba, gazeti "rezonansi" [Vekua, M. (12.02.2026). Kiev has not yet confirmed the news that elections and a referendum will be held in Ukraine in the spring. Newspaper "Resonance"]

Kiknadze. T., kukhalashvili, d., ortanezashvili, a. (2024). postsabch`ota qveynebis usaprtkhoebis politikis sadazvervo da kontrsadazvervo konturebi, Tbilisi: "mts`ignobari" [Kiknadze, T., Kukhalashvili, D., Ortanezashvili, A. (2024). Intelligence and Counterintelligence Contours of the Security Policy of Post-Soviet Countries. Tbilisi: "Mtsignobari"]

Chitadze N., (2018) politologia, sakhelmts`ipos arsi, misi roli sazogadoebriv tskhovrebashi, Tbilisi [Chitadze N., (2018) Political Science. The Essence of the State, Its Role in Public Life. Tbilisi]

japaridze. e., ts`nobiladze. M. (2022). ruset-ukrainis omi da saqartvelo, I saert`ashoriso samets.konperentsia, demokratia da tanamedrove saertashoriso gamots`vevebi, shromebi, saqartvelos sapatriarqos universiteti, Tbilisi [Japaridze. E., Tsnobiladze. M., (2022) The Russian-Ukrainian War and Georgia, I International Trilateral Conference, Democracy and Modern International Challenges. Proceedings. Georgian Patriarchate University, Tbilisi]

Avakian, S. (2015). Nagorno Karabakh - legal aspects (fifth edition) p.17-21

Markedonov, S., Pavlova A., (2024). Three Dimensions of the South Caucasian Conflicts: Dynamics, Commonalities and Differences, Politics and Religion Journal 18, no.2: 269-289

Yakobashvili, T., (2024). Reformatting the South Caucasus. Issue №06 May, 2024 https://politicsgeo.com/wp-content/uploads/2025/08/Temuri-Yakobashvili

Panov, I.A. demetradze, M.R Shorokhova, S.P. (2023). iuzh`ni kavkaz v sovremenix geopoliticheskikh realiakh turtsii i rosii (tom 14 № 2 (39) [Panov I.A. Demetradze M.R. Shorokhova S.P., (2023), SOUTH CAUCASUS IN THE MODERN GEOPOLITICAL REALITIES OF TURKEY AND RUSSIA (vol. 14 No. 2 (39)].

სტატიის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ თამარ კიკნაძისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერის გარეშე. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც მომცა არაერთი მნიშვნელოვანი რჩევა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, პროფესორ ედიშერ ჯაფარიძეს, რომელმაც თავისი კრიტიკული მოსაზრებით, ფართო დისკუსიით, რჩევებითა და ანალიზით დახმარება გამიწია კვლევის ყველა ეტაპზე.